# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## დადგენილება №32/2019
## 2019 წლის 9 სექტემბერი

## ქ. თბილისი

## „2019 წლის 27 ოქტომბერს გასამართი საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 6 სექტემბრის №26/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„2019 წლის 27 ოქტომბერს გასამართი საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 6 სექტემბრის №26/2019 დადგენილების (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 06/09/2019, 010240060.15.008.016458) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარის**
**მოვალეობის შემსრულებელი** — **გიორგი შარაბიძე**

**კომისიის მდივანი** — **გიორგი ჯავახიშვილი**

**დანართი**

## ხარჯთაღრიცხვა

| მუხლი | ხარჯის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| სულ | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 429,397 |
| | ხარჯები | 429,397 |
| | შრომის ანაზღაურება | 320,448 |
| | საქონელი და მომსახურება | 47,675 |
| | სხვა ხარჯები | 61,274 |
| 06 04 01 | არჩევნების ჩატარების ღონისძიებები | 387,687 |
| | ხარჯები | 387,687 |
| | შრომის ანაზღაურება | 300,588 |
| | საქონელი და მომსახურება | 47,675 |
| | სხვა ხარჯები | 39,424 |
| | არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება | 19,860 |
| | ხარჯები | 19,860 |

| | | |
|---|---|---|
| **06 04 02** | | |
| | შრომის ანაზღაურება | 19,860 |
| **06 04 04** | საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება | 21,850 |
| | ხარჯები | 21,850 |
| | სხვა ხარჯები | 21,850 |